საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №57/ნ
2022 წლის 16 მაისი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის №118 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის თანდართული დებულება.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი**

დანართი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის დებულება

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის (შემდგომ – დეპარტამენტი) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2

დეპარტამენტი წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) პირველად სტრუქტურულ ერთეულს.

მუხლი 3

დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომ – მინისტრი) სამართლებრივი აქტებით, სამინისტროს დებულებით, წინამდებარე დებულებით და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 4

დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს სამინისტროს და ანგარიშვალდებულია ზედამხედველი მინისტრის მოადგილის წინაშე. ზედამხედველი მინისტრის მოადგილე დეპარტამენტს უწევს სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი II

დეპარტამენტის კომპეტენცია და სტრუქტურა

მუხლი 5

დეპარტამენტის კომპეტენციაა:

ა) უმაღლესი განათლების პოლიტიკის ფორმირების პროცესში ჩართულობა და ამ პოლიტიკის განხორციელებაზე ზრუნვა;

ბ) უმაღლესი განათლების განვითარების ინსტიტუციური რეგულირება;

გ) სსიპ – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების/რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის ღონისძიებებში მონაწილეობა;

დ) საკანონმდებლო წინადადებების ინიციირება, რომლებიც უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების სახელმწიფო პოლიტიკის მოდერნიზაციასა და ეფექტიან ფუნქციონირებას;

ე) სისტემის სრულყოფის მიზნით, უმაღლესი განათლების დაფინანსების შესახებ წინადადებათა მომზადება;

ვ) უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობისა და სხვა ორგანიზაციულ საკითხთა უზრუნველყოფა;

ზ) უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა;

თ) საუნივერსიტეტო სივრცეში სწავლა/სწავლების განვითარების ხელშეწყობა და გამორჩეული ხარისხის აკადემიური პროგრამების მხარდაჭერა;

ი) აკადემიური პერსონალის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;

კ) უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სისტემის სრულყოფა;

ლ) უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;

მ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა;

ნ) საუნივერსიტეტო სივრცეში კვლევითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა;

ო) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციისა და მდგრადი განვითარების გეგმების რეალიზაციის ხელშეწყობა;

პ) სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება;

ჟ) უცხო ქვეყნების მოქალაქეებისა და სოციალური პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტების გაცემის პროცესის ორგანიზება;

რ) უმაღლესი განათლების სფეროში საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების/ხელშეკრულებების შემუშავება;

ს) საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისა და მასში შემავალი ინსტიტუტების უმაღლესი განათლების ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათ შორის, უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო პროექტების/ინიციატივების დაგეგმვა, შესრულება და კოორდინაცია, აღებული ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობა, კოორდინაცია და წლიური ანგარიშების მომზადება, სამინისტროს კომპეტენტურ სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ასევე შესაბამის საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა;

ტ) საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობის კვლევა და ანალიზი ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობისა და შესაბამისობის დადგენის მიზნით;

უ) საერთაშორისო დონორების, მათ შორის, ევროკავშირის მხარდაჭერით უმაღლესი განათლების სფეროში დაგეგმილი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;

ფ) დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებთან საქმიანი თანამშრომლობა;

ქ) დეპარტამენტის კომპეტენციას განკუთვნილი მიზნობრივი პროგრამების მართვა;

ღ) საჭიროების შემთხვევაში სამუშაო შეხვედრების ორგანიზება;

ყ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 6

დეპარტამენტის მეორადი სტრუქტურული ერთეულებია:

ა) უმაღლესი განათლების სამმართველო;

ბ) სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველო.

თავი III

დეპარტამენტის ხელმძღვანელობა, საჯარო მოსამსახურეები და სტრუქტურული ერთეულების კომპეტენცია

მუხლი 7

1. დეპარტამენტში საჯარო სამსახურს ეწევიან სამინისტროს საშტატო ნუსხით გათვალისწინებული საჯარო მოხელეები.

2. დეპარტამენტში დამხმარე და არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად შეიძლება მიღებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

3. დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

4. დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

5. დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრება სამინისტროს საშტატო ნუსხით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

მუხლი 8

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი.

2. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია ზედამხედველი მინისტრის მოადგილის წინაშე.

3. დეპარტამენტის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს დეპარტამენტს და პასუხისმგებელია დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტის უფლებების განხორციელებასა და მოვალეობების შესრულებაზე;

გ) ანაწილებს ფუნქციებს დეპარტამენტის სამმართველოებსა და საჯარო მოსამსახურეებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) ზედამხედველ მინისტრის მოადგილეს წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების მიზანშეწონილობის შესახებ;

ე) ზედამხედველობას უწევს დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას;

ვ) ხელს აწერს და ავიზებს დეპარტამენტში და სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებულ დოკუმენტებს;

ზ) პერიოდულად ისმენს დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეების ანგარიშს მათ მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ;

თ) წარუდგენს ზედამხედველ მინისტრის მოადგილეს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ კვარტალში ერთხელ, წლის ბოლოს კი საბოლოო, წლიურ ანგარიშს, აგრეთვე, მათი მოთხოვნით – ნებისმიერ დროს;

ი) ორგანიზებას უწევს დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტის უფლებების განხორციელებასა და მოვალეობების შესრულებას, რისთვისაც ზედამხედველ მინისტრის მოადგილეს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

კ) წარუდგენს ზედამხედველ მინისტრის მოადგილეს წინადადებებს დეპარტამენტის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზების, დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეების წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

ლ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რომლებიც აუცილებელია დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტის უფლებამოსილებათა შესასრულებლად;

მ) შუამდგომლობს დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;

ნ) ასრულებს მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მინისტრის მოადგილეების ცალკეულ დავალებას;

ო) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

4. დეპარტამენტის უფროსის მივლინებაში, შვებულებაში ან საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემთხვევაში დეპარტამენტის უფროსის ფუნქციას ასრულებს მინისტრის/უფლებამოსილი პირის ბრძანებით განსაზღვრული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ხოლო ამ უკანასკნელის

მივლინებაში, შვებულებაში ან საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემთხვევაში, დეპარტამენტის უფროსის ფუნქციას ასრულებს მინისტრის/უფლებამოსილი პირის ბრძანებით განსაზღვრული ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი.

5. დეპარტამენტის უფროსის მიერ, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მიზეზის გარდა, დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, დეპარტამენტის უფროსის ზეპირსიტყვიერი დავალების საფუძველზე, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე კოორდინაციასა და ზედამხედველობას უწევს დეპარტამენტის საქმიანობას, ასევე ხელს აწერს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს.

6. დეპარტამენტის უფროსის, დეპარტამენტის უფროსის მოადგილის და სამმართველოს უფროსის ერთდროულად არყოფნის ან მათ მიერ ერთდროულად თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში დეპარტამენტის უფროსის ფუნქციას ასრულებს მინისტრის/უფლებამოსილი პირის ბრძანებით განსაზღვრული დეპარტამენტის ერთ-ერთი საჯარო მოხელე.

მუხლი 9

1. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს სამინისტროს საშტატო ნუსხით განსაზღვრული მოადგილე, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

2. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში;

ბ) ზედამხედველობს დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

გ) ხელს აწერს ან ავიზებს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს;

დ) აკონტროლებს მინისტრის ბრძანებების, მითითებების, დავალებებისა და მინისტრის პირველი მოადგილის, ზედამხედველი მინისტრის მოადგილისა და დეპარტამენტის უფროსის დავალებების შესრულებას;

ე) განიხილავს დროებითი შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი პირების ყოველთვიურ ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ვ) ზედამხედველი მინისტრის მოადგილისა და დეპარტამენტის უფროსის ცალკეულ დავალებას;

ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე კანონმდებლობით დადგენილი წესით, მასზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის უფროსისა და ზედამხედველი მინისტრის მოადგილის წინაშე.

4. დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მივლინებაში, შვებულებაში, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის დროს ან მის მიერ დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ფუნქციას ასრულებს მინისტრის/უფლებამოსილი პირის ბრძანებით განსაზღვრული ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი.

მუხლი 10

1. დეპარტამენტში სამმართველოს სახით შემავალ მეორად სტრუქტურულ ერთეულს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი.

2. სამმართველოს უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამმართველოს საქმიანობას;

ბ) განიხილავს და ანაწილებს სამმართველოს საჯარო მოსამსახურეებს შორის შემოსულ დოკუმენტაციას;

გ) ანაწილებს მოვალეობებს სამმართველოს საჯარო მოსამსახურეებს შორის, უზრუნველყოფს სამმართველოს მუშაობის ორგანიზებას და კოორდინაციას, პასუხისმგებელია სამმართველოს საჯარო მოსამსახურეთა მიერ დისციპლინის დაცვაზე სამინისტროს შინაგანაწესის შესაბამისად;

დ) აკონტროლებს მინისტრის ბრძანებების, მითითებების, დავალებების და ზედამხედველი მინისტრის მოადგილის, დეპარტამენტის უფროსის და დეპარტამენტის უფროსის მოადგილის დავალებების შესრულებას;

ე) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. სამმართველოს უფროსი, სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილების განხორციელებისას ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის უფროსის წინაშე.

მუხლი 11

1. უმაღლესი განათლების სამმართველოს კომპეტენციაა:

ა) სისტემის სრულყოფის მიზნით უმაღლესი განათლების დაფინანსების შესახებ წინადადებათა მომზადება;

ბ) უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მობილურობისა და სხვა ორგანიზაციულ საკითხთა უზრუნველყოფა;

გ) უმაღლესი განათლების სფეროში საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების/ხელშეკრულებების შემუშავება;

დ) საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისა და მასში შემავალი ინსტიტუტების უმაღლესი განათლების ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათ შორის, უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო პროექტების/ინიციატივების დაგეგმვა, შესრულება და კოორდინაცია, აღებული ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობა, კოორდინაცია და წლიური ანგარიშების მომზადება, სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, ასევე შესაბამის საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა;

ე) საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობის კვლევა და ანალიზი, ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობისა და შესაბამისობის დადგენის მიზნით;

ვ) სამმართველოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა და მათზე რეაგირება.

2. უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველოს საჯარო მოსამსახურეების, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში, უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულების მიზნით, ასრულებენ დეპარტამენტის უფროსის, დეპარტამენტის უფროსის მოადგილის და სამმართველოს უფროსის ცალკეულ დავალებებს.

მუხლი 12

1. სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს კომპეტენციაა:

ა) სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის პროგრამების დაგეგმვა და შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებების მომზადება;

ბ) სტუდენტთა წახალისების მიზნით შესაბამისი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება;

გ) უცხო ქვეყნების მოქალაქეებისა და სოციალური პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტების გაცემის პროცესის ორგანიზება;

დ) სტუდენტთა სწავლის ხელშეწყობისთვის სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება;

ე) სამმართველოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა და მათზე რეაგირება;

ვ) ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების პროცესების ადმინისტრირება და შესაბამისი წინადადებების მომზადება.

2. სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს საჯარო მოსამსახურებს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად აქვთ უფლებამოსილება პროგრამების ადმინისტრირების პროცესში დაამუშაონ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაცული პერსონალური ინფორმაცია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს საჯარო მოსამსახურეები, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში, უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულების მიზნით, ასრულებენ დეპარტამენტის უფროსის, დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს უფროსის ცალკეულ დავალებებს.

სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
040.030.000.22.022.014.912

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის ბრძანება №62/ნ

2010 წლის 28 ივლისი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 15[1] მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დაფუძნდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.
2. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის თანდართული წესდება.
3. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) უფლებამონაცვლე.
4. ბრძანება ამოქმედდეს 2010 წლის 1 აგვისტოდან.

დ. შაშკინი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი) იქმნება საგრანტო სისტემით მეცნიერების დაფინანსებისათვის.
2. ფონდის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო).
3. ფონდი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ” და „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონებით, საქართველოს მოქმედი ნორმატიული აქტებითა და ამ წესდებით.
4. ფონდს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საკუთარი საბანკო ანგარიში და ბეჭედი.
5. ფონდის მისამართია: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა №68.

მუხლი 2. ფონდის მიზნები და ძირითადი ამოცანები

1. ფონდის მიზნებია:

ა) მეცნიერების დაფინანსებისათვის განკუთვნილი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა. მეცნიერების დაფინანსების ერთიანი სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება;

ბ) მეცნიერების სისტემის სიცოცხლისუნარიანობისა და განვითარებისათვის აუცილებელი დაფინანსების გაცემა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში;

გ) სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ბენეფიციართა საქმიანობის მონიტორინგი და სამინისტროსათვის ანგარიშის წარდგენა საგრანტო დაფინანსების საფუძველზე შექმნილი ახალი სამეცნიერო პროდუქციისა და მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტის მონაცემების თაობაზე.

2. ფონდის ძირითადი ამოცანებია მეცნიერების დაფინანსების გზით ხელი შეუწყოს:

ა) საწყისი ეტაპისათვის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ან/და საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე, ეკონომიკურ (კომერციულ) მოგებაზე ორიენტირებული მაღალტექნოლოგიური სამეცნიერო პროექტების განხორციელებას;

ბ) კონკრეტული პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტაზე, ახალი ტექნოლოგიების შემუშავებაზე, გამოყენებითი ხასიათის ინოვაციებისა და მიდგომების რეალიზაციაზე ორიენტირებული სამეცნიერო პროექტების განხორციელებას;

გ) ახალი ან უფრო სრულყოფილი ცოდნის მიღების მიზნით, სამეცნიერო სფეროს ფუნდამენტური საკითხების, მოვლენების, ფაქტებისა და მოდელების თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლა-ანალიზზე ორიენტირებულ კვლევებს;

დ) საქართველოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერულ კვლევას;

ე) უმაღლესი განათლებისა და კვლევითი საქმიანობის შერწყმის, სამეცნიერო საქმიანობისათვის უწყვეტი მომზადების სისტემის ფორმირების მიზნით, ნიჭიერი ახალგაზრდების შერჩევისა და აღზრდისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას;

ვ) საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების სამეცნიერო წრეებს შორის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლას, საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა მონაწილეობას საერთაშორისო პროგრამებში, კონფერენციებსა და შეხვედრებში.

3. დასახულ ამოცანათა გადასაწყვეტად ფონდი:

ა) საქართველოს მთავრობასთან შესათანხმებლად სამინისტროს წარუდგენს საქართველოში მეცნიერების განვითარების სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წინადადებების გათვალისწინებით განსაზღვრულ სამეცნიერო მიმართულებებს;

ბ) სამინისტროსთან შეთანხმებით:

ბ.ა. განსაზღვრავს დაფინანსების მოცულობას თითოეული სამეცნიერო მიმართულე-ბისათვის და სამეცნიერო მიმართულებებს შორის თანხის განაწილების მეთოდს;

ბ.ბ. ამტკიცებს საგრანტო კონკურსის ჩატარების წესს;

ბ.გ. აქვეყნებს კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის ჩატარების ვადების შესახებ ინფორმაციას;

გ) კონკურსის წესით ახორციელებს:

გ.ა. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შერჩევასა და გრანტებით დაფინანსებას;

გ.ბ. პროექტების შერჩევას სხვადასხვა სახის გრანტების, მათ შორის, მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების გასაცემად;

დ) ხელს უწყობს პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების განვითარებას მათი პროდუქციის წარმოებაში დანერგვის მიზნით, აგრეთვე აღიარებული საბაზო ტექნოლოგიების გამოყენებას საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევების წარმოებაში დანერგვისა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით;

ე) ხელს უწყობს ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამუშავებისა და დანერგვის პროცესს, ქვეყნის ერთიანი საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცის ფორმირებასა და მსოფლიოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში მის ინტეგრირებას;

ვ) ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ აწყობს სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარების სფეროში მიღწევათა გამოფენებს, სემინარებს, კონგრესებს, სიმპოზიუმებსა და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს და მონაწილეობას იღებს პარტნიორი ქვეყნების ანალოგიური ხასიათის ღონისძიებებში, ხელს უწყობს მეცნიერთა გაცვლის პროცესს;

ზ) სამინისტროსთან შეთანხმებით, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ამყარებს საქმიან კონტაქტებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხო ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებთან;

თ) რეკომენდაციას უწევს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში;

ი) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებს მოლაპარაკებას და დებს ხელშეკრულებებს საქართველოსა და უცხო ქვეყნების იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან;

კ) ხელს უწყობს ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების განვითარების სფეროში სამეცნიერო ინფორმაციის საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების სამეცნიერო წრეებს შორის გაცვლას, საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა საერთაშორისო პროგრამებში, კონფერენციებსა და შეხვედრებში მონაწილეობას, ქართველო-ლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების განვითარების მიზნით საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების სამეცნიერო წრეების წარმომადგენელთა შეხვედრებისა და კონფერენციების ორგანიზებას;

ლ) ანიჭებს პრემიებს მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში განსაკუთრებული მიღწევებისა და წვლილისათვის; ასევე უზრუნველყოფს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა და წევრ-კორესპონდენტთათვის ყოველთვიური ანაზღაურების გაცემას „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ" საქართველოს კანონის 16^1 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე;

მ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 3. ფონდის მართვა

ფონდის მართვის ორგანოებია:

ა) ფონდის გენერალური დირექტორი;

ბ) სამეცნიერო საბჭო;

მუხლი 4. ფონდის გენერალური დირექტორი

1. ფონდის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია და მის საქმიანობას ხელმძღვანელობს ფონდის გენერალური დირექტორი, რომელსაც 4 წლის ვადით, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი (შემდგომში – მინისტრი). ერთი და იგივე პირი ფონდის გენერალურ დირექტორად შეიძლება დაინიშნოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2. ფონდის გენერალური დირექტორი:

ა) მოქმედებს ფონდის სახელით და სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობებში. პასუხისმგებელია ფონდის საქმიანობის სწორად წარმართვაზე;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

გ) სამინისტროსთან შეთანხმებით განსაზღვრავს ფონდის მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებებს;

დ) შეიმუშავებს და ამტკიცებს სამინისტროსთან შეთანხმებულ დაფინანსების მოცულობას თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის და სამეცნიერო მიმართულებებს შორის თანხის განაწილების მეთოდს;

ე) სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით აცხადებს საგრანტო კონკურსებს;

ვ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს სახელმწიფო სტიპენდიების, ჰონორარების, პრემიების მინიჭების წესს და აცხადებს კონკურსებს;

ზ) სამეცნიერო საბჭოს დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგრანტო პროექტის დაფინანსების თაობაზე;

თ) ადგენს საგრანტო კონკურსის გამართვისა და საგრანტო განაცხადების მიღების ვადებს, ამტკიცებს საგრანტო პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშის ფორმებს, დამტკიცებული კრიტე-რიუმების შესაბამისად ექსპერტთა მიერ პროექტების შეფასების წარმოდგენის ფორმასა და შევსების წესს.

ი) სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას სამეცნიერო საგრანტო პროექტის დაფინანსების შეჩერების, განახლების, ხოლო, საგრანტო პროექტის პირობის შეუსრულებლობის, აგრეთვე, პროექტის ხელმძღვანელის ინიციატივის არსებობის შემთხვევაში საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის თაობაზე;

კ) მინისტრთან შეთანხმებით, არა უმეტეს საკუთარი უფლებამოსილების ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ფონდის აღმასრულებელ დირექტორებს და განსაზღვრავს მათ ფუნქციებს;

ლ) მინისტრის კურატორ მოადგილესთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს ფონდის სტრუქტურული ერთეულების უფროსებს;

მ) ანაწილებს სამუშაოს ფონდის თანამშრომელთა შორის;

ნ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს ფონდის სახსრებსა და რესურსებს;

ო) ფონდის ბიუჯეტის შესაბამისად, სამინისტროსთან შეთანხმებით, ამტკიცებს ფონდის საშტატო განრიგს და ხელფასის ფონდს;

პ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფონდის თანამშრომლებთან აფორმებს და წყვეტს შრომით ხელშეკრულებებს, საჭიროების შემთხვევაში, აწყობს კონკურსს, მათ მიმართ გამოიყენებს წახალისების ფორმებსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს. ამტკიცებს ფონდის შინაგანაწესს;

ჟ) შეიმუშავებს და სამინისტროს წარუდგენს ფონდის მუშაობის ყოველწლიურ ანგარიშს;

რ) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე;

ს) აქვეყნებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების შესახებ მონაცემებს;

ტ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. ფონდის გენერალურ დირექტორს ვადაზე ადრე უწყდება უფლებამოსილება:

ა) პირადი სურვილით;

ბ) გარდაცვალების შემთხვევაში;

გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლისას;

დ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შემთხვევაში;

ე) კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

4. ფონდის გენერალური დირექტორის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი.

მუხლი 5. ფონდის სამეცნიერო საბჭო

1. სამეცნიერო გრანტების განხილვისა და შერჩევის მიზნით ფონდში იქმნება სამეცნიერო საბჭო, რომელსაც ფონდის გენერალური დირექტორის წინადადებით, 15 წევრის შემადგენლობით, სამი წლის ვადით ამტკიცებს მინისტრი.

2. ფონდის შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის მინიმუმ 2/3 შედგება აკადემიური თანამდებობების პირებისაგან და მეცნიერებისაგან;

ბ) სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის 1/3 განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიების კვოტით, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისათვის ერთი კვოტით;

გ) სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის 1/3 განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირების – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვოტით;

დ) სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის 1/3 განისაზღვრება საქართველოს მთავრობის კვოტით, რომელშიც თანამდებობრივად შედის მინისტრი და მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე.

ე) სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობს მინისტრი. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს თავმჯდომარის მოადგილე.

3. სამეცნიერო საბჭო:

ა) ითანხმებს ფონდის მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებებსა და კონკურსის გამოცხადების შესახებ ფონდის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებას;

ბ) ფონდის გენერალურ დირექტორს წარუდგენს რეკომენდაციას კონკურსის გამოცხადების შესახებ;

გ) განიხილავს დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასების საფუძველზე შერჩეულ სამეცნიერო პროექტებს და დაფინანსების მიზანშეწონილობის განსაზღვრის მიზნით მოიწვევს პრეტენდენტს ან მის წარმომადგენელს საგრანტო პროექტთან დაკავშირებით საჭირო ახსნა-განმარტებების მისაღებად;

დ) იღებს გადაწყვეტილებას საგრანტო კონკურსებზე, სათათბირო ხმის უფლებით, დარგობრივი უწყებებისა და სამეცნიერო/საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების მოწვევის შესახებ;

ე) საგრანტო პროექტის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციას მისი დაფინანსების შესახებ და წარუდგენს ფონდის გენერალურ დირექტორს;

ვ) კონტროლს უწევს თითოეული მიმართულებისთვის განსაზღვრული დაფინანსების ხარჯვას;

ზ) სამეცნიერო საგრანტო პროექტის ამოცანების შეუსრულებლობის შემთხვევაში გენერალურ დირექტორს წარუდგენს რეკომენდაციას სამეცნიერო პროექტის დაფინანსების შეჩერების ან შეწყვეტის თაობაზე. სამეცნიერო პროექტის დაფინანსების შეჩერების შესახებ რეკომენდაციაში მიეთითება ის პირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება დაფინანსების განახლება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში – პროექტის დაფინანსების შეწყვეტა.

თ) ამტკიცებს ფონდის ბიუჯეტსა და მისი შესრულების ანგარიშს;

4. სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. სამეცნიერო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

5. სამეცნიერო საბჭო, წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, საკუთარ წევრთაგან, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.

6. საბჭოს ყოველ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება, ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

7. სამეცნიერო საბჭო იკრიბება წელიწადში 4-ჯერ მაინც. სამეცნიერო საბჭოს სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს ფონდის გენერალური დირექტორის ან სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამეცნიერო საბჭოს სხდომა ასევე შეიძლება მოწვეულ იქნეს სამეცნიერო საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის წერილობითი განცხადების საფუძველზე, განცხადების ფონდში რეგისტრაციიდან ერთი თვის განმავლობაში.

8. სამეცნიერო საბჭოს ყველა სხდომაზე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით დგება სხდომის ოქმი.

9. სამეცნიერო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) გარდაცვალება;

გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;

დ) სასამართლოს მიერ მისი ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

ე) კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევები.

მუხლი 6. ინტერესთა კონფლიქტი

დაუშვებელია ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ამავე ფონდის თანამშრომლის ან სამეცნიერო საბჭოს წევრის მონაწილეობა.

მუხლი 7. ფონდის სტრუქტურა

ფონდის სტრუქტურას განსაზღვრავს და ამტკიცებს ფონდის გენერალური დირექტორი სამეცნიერო საბჭოს თანხმობით.

მუხლი 8. ფონდის დაფინანსება

1. ფონდის სახსრები იქმნება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრებით;

ბ) საერთაშორისო საფინანსო ეკონომიკური ორგანიზაციებისა და სამეცნიერო ფონდების სახსრების მოზიდვით, ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო პროგრამებიდან მიღებული გრანტებით;

გ) საქველმოქმედო შემოწირულობებით, ფიზიკური და იურიდიული პირების ნებაყოფლობითი შენატანებით;

დ) ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოს შესრულების შედეგად მიღებული შემოსავლებით;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება ფონდის მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. ფონდის სახსრების სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია.

3. ფონდი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს თავისი საფინანსო ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამინისტროს.

მუხლი 9. ფონდის ქონება

ფონდს თავისი უფლებამოსილებების განსახორციელებლად გადაეცემა სახელმწიფო ქონება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. სახელმწიფო კონტროლი

1. ფონდის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

2. სამინისტროს თანხმობით ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, ფონდის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები ფონდის ქონების თაობაზე, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს;

ვ) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე, ფონდის მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოქმედებათა განსახორციელებლად საჭიროა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

4. ფონდს უფლება აქვს მისთვის გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება სარგებლობის უფლებით გადასცეს/გაასხვისოს სხვა პირზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ფონდის წესდებაში ცვლილების შეტანა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ფონდის წესდებაში ცვლილების შეტანა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია შეიძლება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ფონდის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება სრულად გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.